პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 28 დეკემბერი № 305 (16735) ფასი 2 კაპ. 1976

მოგილოცავთ!

კიდევ ახალი სახელები გამოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის გმირთა დიდ ოჯახში. ამჯერად სოფლის მეურნეობის სამმა სახელოვანმა მუშაკმა ვ. რ. ძნელაძემ, ა. ა. ტოროტაძემ და გ. ა. ცერცვაძემ დაიმსახურეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

დიდება ჩვენს გმირებს!

ახალი წარმატებებისათვის!

კიევის ოლქის მეცხოველეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე წერილი, სადაც მაცნობთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გასადიდებლად წარმოებულ მუშაობას, 1977 წლის ახალ, მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს. ხუთწლედის დავალებათა შესრულების ვადების შემცირების, სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების საქმეში თქვენი წვლილის გადიდების მისწრაფება მოწმობს თქვენს მაღალ პატრიოტიზმს, სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარების ამოცანის ღრმა გაგებას, იწვევს ჩვენი სოფლის მშრომელებისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობას.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცხოველეობის, როგორც ისეთი დარგის განვითარებას, რომელმაც სულ უფრო მეტად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ხორცზე, რძესა და კვების სხვა მნიშვნელოვან პროდუქტებზე.

კიევის ოლქი ასეთი პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი და სახელმწიფოსათვის მიმწოდებელია. და მე სავსებით გეთანხმებით, რომ ინტენსიურ საფუძველზე სარძეო-სახორცე მეცხოველეობის, მელორეობისა და მეფრინველეობის განვითარება, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის შეჯიბრების ფართო გაჩაღება, შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ფერმებში და მეცხოველეობის ყველა დარგის ეკონომიკის განმტკიცება ოლქის პარტიული ორგანიზაციის, ყველა სოფლის მშრომელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თქვენი ინიციატივა, რომ უფრო სრულად გამოიყენონ ხორცის წარმოების გადიდების, გამოზრდისა და ხუქების ღროს პირუტყვის მაღალი საშუალო სადღეღამისო წონა-მატების უზრუნველყოფის ყველა რეზერვი, თქვენი განზრახვა, რომ მნიშვნელოვნად აამაღლოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩახაბარებელი წონა, უფრო ინტენსიურად განვითაროთ მეღორეობა და მეფრინველეობა, თქვენი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში გაზარდოთ წველადობა და სახელმწიფოსათვის რძის და სხვა პროდუქტების მიყიდვა, მოწმობს, რომ გონივრული, ყაირათიანი მიდგომით შეიძლება მეცხოველეობის პროდუქციის უფრო დაჩქარებული ტემპით გადიდება, იმ ზარალის უფრო სწრაფად აღმოფხვრა, რომელიც ამ დარგს შარშანდელმა საშინელმა გვალვამ მიაყენა.

განსაკუთრებით გვახარებს თქვენი ვალდებულებანი, რომ გაისად სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საქმეში 1978 წლის დონეზე გახვიდეთ და ერთი წლით ადრე მიაღწიოთ ხუთწლედის დამლევისათვის დაადგენილ რძისა და ხორცის მიყიდვის მოცულობებს, ეს იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი პრაქტიკული საქმეებით გაცემული ღირსეული პასუხი.

მეცხოველეობაში თქვენი მაღალი ვალდებულებების შესრულების წარმატებას გადაწყვეტენ ადამიანები, კადრები, მათი შრომითი აქტივობა და ოსტატობა, ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმოების ასობით შესანიშნავი ნოვატორი აღზარდეს, რომლებიც თავდადებული მუშაობით შრომაში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გადიდებისათვის ბრძოლის მაგალითს გვიჩვენებენ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოწინავეთა რიგები დღენიადაგ იზრდებოდეს, ხოლო მათი გამოცდილება და შრომითი მიღწევები მეცხოველეობის თვითეული მუშაკის კუთვნილება ხდებოდეს, თვითეული ფერმის წარმოებაში ინერგებოდეს.

თქვენს წერილში მკაფიოდ გამოსჩვივის აზრი, რომ მეცხოველეობის პროდუქციის ზრდის ყველა დასახული მაჩვენებელი უშუალოდ არის დაკავშირებული პირუტყვის ორგანიზებულ გამოზამთრებასთან. მე ვფიქრობ, ახლა ეს მთავარია. ამასთან, წლეულს პირუტყვის საკვებით საუკეთესო უზრუნველყოფას არ უნდა მოპყვეს არავითარი თვითდამშვიდება, რადგან დიდძალი საკვები ჯერ კიდევ არ იძლევა კარგი შედეგების გარანტიას. თქვენ იცით, რომ წარმატებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა თვითეულ კილოგრამ საკვებს უმეტესი უკუგებით გამოვიყენებთ, როცა ფერმაში მთელი საწარმოო პროცესის მაღალი ორგანიზაცია იქნება, როცა თვითეული მეცხოველე, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი, იგრძნობს დიდ პასუხისმგებლობას ბრიგადაში, ფერმაში, მეურნეობაში საქმის მდგომარეობისათვის.

მსურს აგრეთვე აღვნიშნო, რომ კიევის ოლქის მეცხოველეთა შრომითს თაოსნობას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საერთო ამოცანის გადაწყვეტაში, და ეჭვი არ არის, რომ ამ თაოსნობას მხარს დაუჭერენ ყველა სხვა ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში.

ვუსურვებ კიევის ოლქის მეცხოველეებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველა მშრომელს დიდ წარმატებებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ახალ მიღწევებს შრომაში ჩვენი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲡᲠᲙ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობის პროგრამის შესაბამისად მიიღეს დადგენილება, რომ მოემატოთ ვინმალური ხელფასი სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს და ამასთან გაუდიდდეთ სარგოები და განაკვეთები საშუალო ხელფასიანი კატეგორიების მუშაკებს.

ხელფასი მოემატება 31 მილიონ მუშაკს საშუალოდ 18 პროცენტით. სახელმწიფოს ხარჯები ამ მიზნით შეადგენს 7 მილიარდ მანეთზე მეტს წელიწადზე განგარიშებით.

გათვალისწინებულია ხელფასი გაუდიდდეთ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ:

განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის (იმ კატეგორიათა მუშაკების გარდა, რომლებსაც განაკვეთები და სარგოები წინათ მოემატათ) დარგში; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თეატრალურ-სანახაობითს საწარმოებში;

ეიპრობისა და სახოგადოებრივი კვების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, გასაღებისა და დამზადების სისტემაში; სპინთა-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, დაცვის დარგში;

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საკონსტრუქტორო დ საპროექტო ორგანიზაციებში, გამოთვლით ცენტრებსა და მეცნიერების სხვა ორგანიზაციებში;

სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოებში, სამეურნეო ორგანიზაციებში, სასამართლოსა და პროკურატურაში. საკრედიტო დაწესებულებებსა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში.

გათვალისწინებულია, რომ მნიშვნელოვნად მოემატოთ ხელფასი მასობრივი პროფესიების მუშაკებს — მედდებს, სანიტრებს, ფარმაცევტებს, საბავშვო ბაღების ჯუფების აღმზრდელებს, ბიბლიოთეკარებსა და კლუბების მუშაკებს (განსაკუთრებით სოფლად), გამყიდველებს, აგრეთვე არასაწარმოო დარგების ბევრი სხვა კატეგორიის მუშაებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს.

ახალი სარგოები და განაკვეთები შემოღებული იქნება თანდათან: უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ევროპეული ჩრდილოეთის რაიონებში — 1976 წლის დეკემბერში — 1977 წლის თებერვალში; ურალის, აღმოსავლეთის, შუა აზიის, ვოლგა-ვიატკის რაიონებსა და ვოლგისპირეთში — 1977 წლის დეკემბერში. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილი ქვეყნის სხვა რაიონებში განისაზღვრება მიმდინარე ხუთწლედის მომდევნო წლების გეგმებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოებს აღმასრულებელ კომიტეტებს, პროფკავშირულ ორგანოებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალეს შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება, სრულყონ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, ფართოდ გაავრცელონ მუშაობის მოწინავე ხერხები და მეთოდები, აამაღლონ მუშაკთა კვალიფიკაცია, განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, გაამსხვილონ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, გაამარტივონ მართვის სტრუქტურა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას შრომის ფორმა მაღალი შედეგების მიღწევით, მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მატერიალური ნახალისების პროგრესული ფორმების ყოველნაირ დანერგვას. გათვალისწინებულია დაწესდეს წამახალისებელი დანამატები განაკვეთებზე (სარგოებზე) და ფართოდ იქნეს გამოყენებული პრემირების სისტემა მოსახლეობის მომსახურების სახეობების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალეს გაანალიზონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა განსახორციელებელ ღონისძიებათა მნიშვნელობის განსამარტავად და უზრუნველყონ მოწინავე მუშებისა და სპეციალისტების თართო მონაწილეობა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების სამზადისში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მოუწოდეს აამაღლონ შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნების უფრო სრული დაკმაყოფილების, მისი განათლებისა და კულტურის დონის შემდგომი ამაღლების, საბჭოთა ადამიანების სამეცნიერო მომსახურების, შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების, გაწეულ მომსახურებათა ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფაში.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, 1976 წელს ჩაის ფოთლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის წოდება** და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“:**

ძნელაძეს ვასილ რომანის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გაგრის ჯიშთსანაშენე მეურნეობის დირექტორს.

ტოროტაძეს ამირან აკაკის-ძეს — მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს.

ცერცვაძეს გიორგი ალექსანდრეს-ძეს — „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების ტრაქტორისტთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 27 დეკემბერი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ



ᲕᲐᲡᲘᲚ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

ᲐᲮᲚᲐ რესპუბლიკაში იცნობენ როგორც უნარიან, გამრჯე და საქმის მცოდნე მუშაკს. მისი ხელმძღვანელობით გაგრის მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობის კოლექტივმა ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწია.

ამ მეურნეობამ სახელმწიფოს ნაცვლად 580 ცენტნერისა უკვე მიჰყიდა 861 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 14.520 ცენტნერისა, 16.831 ცენტნერი რძე და სხვა პროდუქტები. საშუალოდ ერთ ძროხაზე წლეულს ნაცვლად 4.000 კილოგრამისა 4.702 კილოგრამი რძე მიიღეს.

ხაჯიშე მეურნეობის ერთ-ერთი საქმე ჯიშიანი პირუტყვის გამოყვანაა. ამ საქმეში ფაბრიკის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობით დიდი წარმატებებია მოპოვებული. წლეულს ნაცვლად 70 სულისა 76 მოზარდი შეინარჩუნეს და გაზარდეს.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ-ᲫᲔ ᲢᲝᲠᲝᲢᲐᲫᲔ

ᲐᲛ ხელმარჯვე მეჩაიემ წინა ხუთწლედსა და მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს არნახულ წარმატებას მიაღწია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებასა და კრეფაში. მასზე ლაპარაკობენ მშობლიურ სოფელ ლიხაურში, მახარაძის რაიონსა და მთელ საქართველოში: აი კაცი, რომელიც ჩაის ფოთლის კრეფაში მანქანას ეჯიბრებაო.

ამირანმა მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს 13 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, მეორე წელს — 17,8 ტონა, მესამე წელს — 18,5 ტონა, მეოთხე წელს — 22,4 ტონა, მეხუთე წელს — 24,2 ტონა. სულ ხუთწლედში 95,9 ტონა მწვანე ოქრო მიუწონა ფაბრიკას, წლეულს კი — 25 ტონა.



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ

„ᲡᲐᲥᲡᲝᲤᲚᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ“ გორის რაიონული გაერთიანების ტრაქტორისტა ბრიგადირია და სოფელ ზედულეთის კოლმეურნეობას ემსახურება. ზედულეთის კოლმეურნეობაში მისი ბრიგადა წლეულს 30 ჰექტარ სიმინდის ნათესს უვლიდა. კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით დაამუშავა ნათესები და ჰექტარზე საშუალოდ ნაცვლად 28 ცენტნერისა 40 ცენტნერი მარცვალი მიიღო და 120 ტონა სიმინდი მიჰყიდა ხახელმწიფოს. გარდა ამისა ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტნერი ხორბალი მიიღო, როცა კოლმეურნეობის საშუალო მაჩვენებელი 35 ცენტნერი იყო.

ბრიგადამ წლეულს 11 თვეში 26 ტონა საწვავ-საცხები დაზოგა.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ რესპუბლიკის პიონერებასა და მოსწავლეებს საყვარელი ჟურნალის „პიონერის“ რედაქციას და მის მრავალრიცხოვან მკითხველებს ჟურნალის დაარსების 50 წლისთავს.

თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ჟურნალი „პიონერი“ ერთგულად ემსახურება მოზარდი თაობის ლენინის იდეებით, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, შთაგონებს მოსწავლე ახალგაზრდობას სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას, ამზადებს მას პარტიისა და ხალხის საქმისადმი უანგარო სამსახურისათვის.

ჟურნალის საქმიანობა აღსავსეა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ახალი საინტერესო ფორმების შემოქმედებითი ძიების შესანიშნავი მაგალითებით. მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები პიონერებსა და მოსწავლეებს აძლევენ ძვირფას სულიერ საზრდოს კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებისათვის, შემოქმედებითი აზროვნების ჩვევათა შეძენისათვის, უვითარებენ მათ შრომისმოყვარეობის, საქმიანი ინიციატივის, კოლექტივიზმისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, უნერგავენ მომავალ თაობას მტკიცე ნებისყოფასა და შეუპოვრობას დასახული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ჟურნალი ყოველთვის შინაარსიანად და საინტერესოდ ასახავს რესპუბლიკის პიონერთა მჩქეფარე ცხოვრებას, აქტიურად ეხმარება და მხარს უჭერს მათ ყოველ სასარგებლო ინიციატივასა და თაოსნობას.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს შემოქმედებითი შრომის არნახული ატმოსფერო, როცა საბჭოთა საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, ჟურნალი კიდევ უფრო მეტი შემართებით იბრძვის მომავალი თაობის ყოველდღიურ ცხოვრებაში მუშაობის საინტერესო ფორმების დამკვიდრებისათვის, პარტიის დიად მიზანდასახულობათა შესასრულებლად პიონერებისა და მოსწავლეების დარაზმვისათვის.

ჟურნალის მთელი საქმიანობა მიმართულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული თანმიმდევრული და პრინციპული კურსის აქტიური მხარდაჭერისათვის, რომლის მიზანია რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღება, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის თსიქიაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უსურვებენ ჟურნალის ყველა თანამშრომელს, კორესპონდენტთა აქტივს შემდგომ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ ჟურნალი „პიონერი“ მომავალშიც ღირსეულად შეასრულებს ნორჩ ლენინელთა კეთილი მრჩეველისა და გულისხმიერი დამრიგებლის როლს, კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდება მათი ხალისიანი და საინტერესო ცხოვრების შინაარსს და ახალ წარმატებებს მოიპოვებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი — „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი“.

ტირაჟია 10 ათასი ცალი. (საქინფორმი).



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (ხაკ. კორ.). ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ფართოდ გაიჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 21 დეკემბერს სამშობლოს უპატაკეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 1976 წლის საგეგმო დავალებათა შესრულება.

დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდებაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმისა და „გელათის“ სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, მაუდისა და საკონდიტრო ფაბრიკების, სახლთსამშენებლო კომბინატისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ქალაქის მრეწველობის მუშაკთა მტკიცე გადაწყვეტილებაა მეათე ხუთწლედის პირველი წლის ფინიშზე კიდევ უფრო გაძლიერონ დამკვრელური შრომის ტემპი და აუცილებლად უზრუნველყონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების — გეგმის გადამეტებით 20 მილიონი მანეთის პროდუქციის წარმოების შესრულება.

დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ ჟურნალი „პიონერი“ მომავალშიც ღირსეულად შეასრულებს ნორჩ ლენინელთა კეთილი მრჩეველისა და გულისხმიერი დამრიგებლის როლს, კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდება მათი ხალისიანი და საინტერესო ცხოვრების შინაარსს და ახალ წარმატებებს მოიპოვებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრკ მინისტრთა საბჭო

მეგობრობისა და ძმობის მეხოტბე

აზერბაიჯანის სახალხო პოეტის სამედ ვურღუნის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ყოველი დიდი პოეტი და მოაზროვნე მთელ ეპოქას ქმნის. შემდეგ მას მიჰყვებიან თაობები. აზერბაიჯანულ ლიტერატურაში, მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაში ასეთი ეპოქა შექმნა თანამედროვეობის შესანიშნავმა პოეტმა — საბჭოთა აზერბაიჯანული პოეზიის ბაირახტარმა, გამოჩენილმა დრამატურგმა, მეცნიერმა, პუბლიცისტმა სამედ ვურღუნმა.

სამედ ვურღუნი ერთნაირად ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის, იმიტომ, რომ პოეტის შემოქმედება ახლობელია ხალხისათვის, აღსავსეა მოქალაქეობრივი და ფილოსოფიური ფიქრებით, უმღერის მეგობრობისა და ძმობის დიად იდეალებს. იგი წერდა ხალხის შრომითს გმირობაზე, რომელიც სახეს უცვლის სამყაროს, აშენებს ახალ ცხოვრებას, უმღერიოდა დიდი სამამულო ომის გმირებს, ჩვენი გამარჯვება რწმენას. მისი შესანიშნავი პიესები საბჭოთა დრამატურგიის ოქროს ფონდში შევიდა.

დიდსულოვანმა და გულღია ადამიანმა, სამედ ვურღუნმა თავისი ნიჭი მოახმარა სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს. რევოლუციის პოეტს, ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს უსაზღვროდ უყვარდა სიცოცხლე, პოეზია, ჩვენი დიდი სამშობლო.

პოეტისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველი იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 27 დეკემბერს გაიმართა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში მოჩანს სამედ ვურღუნის დიდი პორტრეტი. იქვე კიაფობს ციფრი „70“.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ.

— დღეს, — თქვა მან, — ქართველი ხალხი აღნიშნავს ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტის, საქართველოს ჭეშმარიტი მეგობრის, მზნინბარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის სამედ ვურღუნის დაბადების 70 წლისთავს.

დიდი სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდა მას საქართველოსთან, მის ხალხთან. ეს გრძნობები პოეტმა ამითაც გამოხატა, რომ ბრწყინვალედ თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მეტი ნაწილი, ილია ჭავჭავაძის ლექსები და საბჭოთა საქართველოს პოეტების ნაწარმოებები. სამედ ვურღუნმა ბევრი გულთბილი სტრიქონი მიუძღვნა საქართველოს პოეტებს. ამ ლექსებს და ამით მისდამი ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ.

დღეს ქართველი მწერლები, მთელი ქართველი ხალხი აღტაცებულ ხმას ყრიდნენ აზერბაიჯანელი ხალხის დღესასწაულს და ამ საიუბილეო საღამოთი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ურღვევი მეგობრობას, ძმობა ხალხთან, თავის ურმრმს და გულწრფელ პატივისცემას საბჭოთა ადამიანი, ეროვნებისა და ენის მიუხედავად, ეროვნებისათვის.

ეს საღამო კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საუკუნოვან ძმობას, რომელსაც მრავალი სტრატონი მეფეძმენეს ჩვენი ხალხების საუკეთესო მამულიშვილებმა.

აზერბაიჯანული ლიტერატურის დიდოსტატის ალიბეგ საქართველოში აღინიშნება იმ გულწრფელი სიყვარულის ვითარებაში, რომლითაც ესოდენ გულთბილად დაჯილდოდა სამედ ვურღუნმა.

სამედ ვურღუნის შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობაზე სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარებაში მის დიდ წვლილზე, ქართველ თანამოაზრეებთან პოეტის მეგობრობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ეროვნული ლიტერატურის ბრბოს ალ. ალიევი, ბ. ბაკალოვი, ჯ. ბატალოვი, ვ. სიროაძე, ე. შეევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. ბოსაშვილი, ჟ. ბარტავა, ხ. ხაბეიშვილი.

ქართველი ბავშვების მეგობარი და მრჩეველი

ჟურნალი „პიონერი“ 50 წლისაა

ამ დღეებში ნორჩ მკითხველთა მრავალთასიანი არმია საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს თავისი საყვარელი ჟურნალის იუბილეს — „პიონერის“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავს.

უკვე ნახევარი საუკუნეა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოქალაქეებს ჟურნალის ფურცლებიდან ესაუბრებიან ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხის მეცნიერები და მწერლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პედაგოგები.

ჟურნალი ბავშვებს ასწავლის შრომას, უღვიძებს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას გრძნობებს.

საიუბილეო ზეიმის დასკვნითი აკორდი იყო ჟურნალ „პიონერის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 27 დეკემბერს გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ფაჩიუაშვილმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის ჟურნალს მაღალი კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ჟურნალ „პიონერის“ რედაქციისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალის ფურცლებიდან ესაუბრებიან ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხის მეცნიერები და მწერლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პედაგოგები.

კური საბჭოს დადგენილება საპატიო სიგელთან ჟურნალისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშნით „50 წელი ლენინის სახელთან“ ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორის ბ. შელიას დაჯილდოების შესახებ.

ჟურნალის ნახევარსაუკუნოვან გზაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში „პიონერის“ მთავარმა რედაქტორმა ბ. შელიამ.

რესპუბლიკის პიონერებსა და მოსწავლეებს, რედაქციის ყველა თანამშრომელს იუბილე მიულოცეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ, ჟურნალის პირველმა რედაქტორმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. რადიანმა, მე-4 საკავშირო პიონერთა შეკრების დელეგატმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტმა — თ. უკლებამ, პიონერმა ნ. კილასონოვამ, სოციალისტური შრომის გმირმა, ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა შ. გიგინეიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, აზერბაიჯანის ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. სულეიმანოვმა, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარმა რედაქტორმა შ. ბარათაშვილმა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რ. ჩხეიძემ, გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. კალანდარაშვილმა.

საიუბილეო საღამოს დაამშვენა ნორჩ მომღერალთა და მუსიკოსთა გამოსვლამ.

საიუბილეო საღამოს დაესწრო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „პიონერის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზაარდი თაობის კომუნისტურად აღზრდაში აქტიური მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჟურნალი „პიონერი“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი,
1976 წლის 27 დეკემბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, ჟურნალ „პიონერის“ დაარსების 50 წელთან დაკავშირებით, რედაქციისა და სტამბის თანამშრომლები დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ანა სოლომონის ასული **მეხხიძე** — რედაქციის მდივანი-მემანქანე;

ციალა ეფრემის ასული **სილაგაძე** — ლინოტიპისტი;

გაიოზ ერმილეს-ძე **ფოცხიშვილი** — მთავარი მხატვარი;

გულნარა ივანეს ასული **ჩარექიშვილი** — კორექტორი;

ბაბულია აკაკის ასული **შელია** — ჟურნალის რედაქტორი.

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, ჟურნალ „პიონერის“ დაარსების 50 წელთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„ხალხის მასწავლებელი“** მიენიჭა:

ბ. ბაკალოვი, ჯ. ბატალოვი, ვ. სიროაძე, ე. შეევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. ბოსაშვილი, ჟ. ბარტავა, ხ. ხაბეიშვილი.

ᲣᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗ!

გურჯაანელთა ზვრების სიუხვის რეზერვები

□ გურჯაანის რაიონში ვენახების გაშენების მეათე ხუთწლედის გეგმა შესრულებულია □ წლეულს ნაცვლად 756 ჰექტარისა 2.015 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა □ დაირგო 3 მილიონ 800 ათასი ცალი ნერგი.

მერამდენედ მოიყინა ალბეთში ვაზები, მერამდენედ დაუზრა ვაზს სამამულე რქა! ამ ხშირმა ყინვებმა საგონებელში ჩააგდო მეზვრეები და მეევნახე აგრონომიც, მეცნიერიც, და სხვა მუშაკებიც. ნათქვამია, მხოლოდ ერთიანი ძალით შეიძლება გამარჯვებაო და გურჯაანელებმაც, საქართველოს მეევნახეობის ამ ავადგარდმა, დაიწყეს ახალი ზვრების გამოძებნა.

ვაზის შვილვით სიყვარულმა, ამ დალოცვილ შცენარეზე მშობლიურმა ზრუნვამ ჯერ ნერგების სისაღესა და სიმრავლეზე დააფიქრა ხელმძღვანელები და რიგითი მეევნახეც. სიუხვე ზვრების საკვირტედან იწყება. მამაპაპათა ამ ბრძნული სიტყვებით დაიწყეს მომავლის ვენახებზე ფიქრი და გარჯა. მილიონობით საღი კვირტი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით დაამყნეს და სათბურებში ისე ულალიდნენ როგორც ჩვილ ბავშვს. როცა დამსხვილებულმა კვირტმა პირი გაიხსნა, ნამყნეს ჭრილობა მოუშუშდა, ჩვენებური მზით ახლადგამთბარ მიწაში გადაიტანეს. ნერგზე ზრუნვა ამით როდი დაამთავრეს! ვაზის ნერგები ჯანსაღი, სუსხისა და სიცხის ამტანი რომ გამოსულიყო, მთელ წელიწადს ყოველდღიურად თავს დასტრიალებდნენ სანერგეზე. **ყოველ ძირს მართლაც ფაქიზად უვლიდნენ და ამგიც დაუფასდათ, გურჯაანელებმა 4,5 მილიონი ხალი ნერგი გამოიყვანეს.**

ახლა მთავარი საკვანძო მიწის გონიერულად შერჩევა და მომზადება იყო. ეს მათ მოწონაც მეევნახეთა მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და მეცნიერ მუშაკთა რეკომენდაციები მოიშველიეს. ყველაფერი წინდაწინ ასჯერ გაზომეს და აწონეს, დაადგინეს მომავალი ვენახების რიგების მიმართულება, მერე დახაზეს დასაარგავად მომზადებული მიწის ნაკვეთები და, როცა ვენახებში მოირთვიანეს, როცა თოთოლკვენა დამთავრდა, ჯერ ისევ თბილ მიწაში საგულდაგულოდ შერჩეული, საღი ნერგების გადარგვა დაიწყეს.

— ვიდრე ვენახების გაშენებას დავიწყებდით, ბევრი ვისმჯელეთ, როგორი წესით გავაკეთებინა ახალი ზვრები, — თქვა პარტიის გურჯაანის რაიონის პირველმა მდივანმა შოთა ეკადაშვილმა, — დავასკვენით, რომ ბოლოს და ბოლოს შეუპოვარი შრომით, მანქანების გამოყენებით უნდა დავამარცხოთ ყინვაცა და გვალვაც. გავითვალისწინეთ ის მოძმე რესპუბლიკების მეევნახეთა გამოცდილება. სადაც ზამთარი უთრო სუსხიანი იცის. იქ ვაზებს თავიდანვე მაღალ შტამბზე ზრდიან, რაც მოყინვისაგან დაცვის კარგი საშუალებაა. გარდა ამისა გადაეწყვიტათ ახალი ვენახები ახალი მეთოდით გაეკეთებინა. **რიგთა შორის 3 მეტრამდე, ხოლო ვაზებშორის 1.5 მეტრამდე გაგვედიდებინა მანძილი.** ამ მეთოდით ვენახებში მექანიზაციის გამოყენებით მინიმუმამდე მცირდება ხელით შრომა, პროდუქციაზე დანახარჯები. მაღალშტამბიან ვაზს საკვებად ირგვლივ მეტი მიწა აქვს, აერაციაც ერთობ კარგად**მოხსენებულია, და ცხადია, მოხავლიანობაც მოიმატებს. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მევენახეობა თანდათან სამრეწველო საფუძველზე გადავიყვანოთ და მეზვრეს მძიმე შრომა შევუმსუბუქოთ.**

ახალი მეთოდით გაშენებული ვენახებში ვაზს მთლიანად წყვილმავთულზე გადაეიყვანთ, ამ ღონისძიებას ჩატარების შედეგად ახვევა ერთობ გაიოლდება. წვერების წაწყვეტისაგან კი რთველამდე თავს შეიკავებთ. მერე კი ჩვენი მეცნიერ მუშაკების იმედი გვაქვს, მკონი არის წვერების წასაჭრელი მანქანები. **ასე რომ რიგთა შორის მიწის სამუშაოებს, მწვანე ოპერაციებს, წამლობას მანქანებით შეავასრულებთ, დარჩა ვაზის გაახვლა, შეყელვა და ყურძნის კრეფა. როგორც ვიცით, უახლოეს დროში ამასაც მოევლება.**

ზოგზოგები ასე დიდ ფართობზე ვენახების გაშენებას სკეპტიკურად შეხვდნენ. ჩვენ ეს არ გვაშინებს, მექანიზაციის ეპოქაში მუშახელის ნაკლებობა რა საფიქრალია. მთავარია ჩვენს მევენახეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მანქანების მართვა კარგად შევასწავლოთ.

როცა გურჯაანელთა ახალშენ ვენახებს ათვალიერებთ, გკერათ, რომ შიში უსაფუძვლოა. მთავარი ის არის, რომ რაიონის ხელმძღვანელობისა მეევნახეებს სჯერათ. **ამიტომ იყო, რომ წლეულს 756 ჰექტარის მაგივრად 2.015 ჰექტარი ახალი ვენახი გაეშენებს. ჰექტარზე 1.667 ძირი ნამყენი რქაწითელი დარგეს. სულ კი მოკლე დროში 3 მილიონ 800 ათასი საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი ნერგი დაირგო. გარდა ამისა სიმეჩხრესაც შეუტიეს — 418 ათასი ძირი გამორგეს და ამით ზვრებს 140 ჰექტარი შეემატა, გადაწყვეტილია 118 ათასი ძირი. ესეც დიდი რეზერვია!**

— როცა რეზერვებზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოთ ნერგების მექანიზებული დარგვა,—განაგრძობს შ. ეკადაშვილი. — ზოგიერთი ვაზს ჰიდროგეოლური სარგავ მანქანას უნდობლად შეხვდა, მამაპაპური ბალოთი დარგვა სჯობიაო, მაგრამ როცა საკუთარი თვალით ნახეს, როგორ ერგავდით ვაზებს, ჩვენს სიმართლეში დარწმუნდნენ. ანდა როგორ არ დარწმუნდებოდნენ! ბალოთი დარგვისას ფესვები ნერგს ძირში უნდა შეეჭრას, ამასთან მიწა ნაბალოვარში იტკეპნება, მაგრდება, ნერგის ნიადაგთან შეხება ნაკლებია და, ცხადია, გაბარების პროცენტიც შემცირდება. ჰიდროგეოლიური მანქანით რგვა იოლიც არის, სწრაფიც და, რაც მთავარია, ნერგს ფესვები ძირში არ ეჭრება. გარდა ამისა ნერგს დარგვისთანავე ფესვებამდე რეზინის მილებით წყალში გახსნილი მინერალური სასუქი ესხმება. ამის შემდეგ განა ვინმე დაეჭვება, რომ გაბარება თითქმის ასპროცენტიანი იქნება? ეს დიდი რეზერვია, ამით თავიდანვე ვებრძვით სიმეჩხრეს, რაზეც ახლა დიდძალი შრომა და სახსრები გვეხარჯება.

— **ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა წლეულსავე შესრულდა, ეს ვენახები მეოთხე-მეხუთე წელს მოსავალს მოგცემს?**

— რა თქმა უნდა,—გვიხსნის მდივანი,—ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის, **წლევანდელი ახალშენის ჩათვლით რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში 12.500 ჰექტარი ვენახები გვაქვს. ხუთწლედის ბოლოს ეს ზვრები სრულმოსავლიანი იქნება და მარტო საზოგადოებრივ სექტორიდან 130-140 ათას ტონა ყურძენს მივყიდით სახელმწიფოს. საკარმიდამო ზვრების სიკეთესაც თუ გავითვალისწინებთ, რაიონში ყურძნის წარმოება შარშანდელთან შედარებით, როცა 80 ათას ტონაზე მეტი მივყიდეთ სახელმწიფოს, თითქმის გასამკეცდება.**

2015 ჰექტარი ახალი ვენახი შეემატა გურჯაანელთა ზვრებს. ეს პატარა ციფრი არ არის ისეთი რაიონისათვის, სადაც საკვანძო მიწების გამოძებნა თანდათან რთულდება. მიუხედავად ამისა საკვანძო მიწებს მიანც ნახულობენ და ისევ და ისევ აშენებენ ახალ ზვრებს მელაანელებმა 30 ჰექტარის მაგივრად 317 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენეს, კაჭრეთელებმა 100 ჰექტარის მაგივრად — 300 ჰექტარი, შრომელებმა 100 ჰექტარის მაგივრად — 135 ჰექტარი, ჩუმლაყელებმა 60 ჰექტარის მაგივრად — 100 ჰექტარი.

— მიწა ჯერ თბილია, შეიძლება ვაზის დარგვა, — ამბობს მელაანელი გამოცდილი მეევნახე გიორგი ჯავახიშვილი.

ფესვი გაიდგა, შე მადლიანო, გაიბორკე და გაიხარე, ჩვენც გაგვახარე, შე რქაფალოცვილო, გაძლიერდი და ჩვენც გაგვაძლიერე, შე ბარაქიანო! — გულგახარებულნი წინ მიუძღვიან სარგავ მანქანას კაჭრეთელი შალვა მაზანაშვილი და ლადო ორველაშვილი, ჩუმლაყელი ნიკო ძულიაშვილი და თან ლოცავენ მომავლის ზვრებს მეევნახეები.

დიდ ზვრებს დიდი რთველისათვის ამზადებენ გურჯაანელი ვაზის მინდიები!

ვ. გოზალიშვილი.

მშენებლობის ხარისხი, ეფექტიანობა!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს საკითხი „მშენებლობაზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის დაჩქარებათა შესრულების მდგომარეობისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარაიძემ.

მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ნ. ციციშვილმა.

საანთორმაციო მოხსენებები გაწეული მუშაობისა და 1977 წლის გეგმების შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ი. მანჯგალაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბ. ა. ზატუაშვილმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ჯ. ი. სიხარულიძემ, ქალაქ თბილისის მთავარმა არქიტექტორმა თ. ვ. თევზაძემ, საქართველოს სსრ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ი. ლოლაშვილმა, ქალაქ თბილისის საკიბორგებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტალური დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ო. ვ. თუხარელმა, საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფოთ საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა მ. ვ. ციხერაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. ს. ზავრიევმა.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში გაწეულია მუშაობა მშენებლობის ტექნიკური დონისა და სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. რეკონსტრუირებულია სახლთსაშენებელი კომბინატები, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოები. მთლიანად ასაწყობი სახმინაო მშენებლობის მოცულობა 75 პროცენტამდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებში შემოშავებული პროექტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. აშენდა გაუმჯობესებული დაგეგმარების საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ახალი სერიები.

რამდენადმე გაუმჯობესდა მშენებარე ობიექტების ხარისხი, რასაც ხელი შეუწყო ახალი ეფექტიანი მასალებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვამ.

გაწეულია გარკვეული მუშაობა მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის. კერძოდ, ხორციელდება სეისმური მიკროდარაიონების ახალი მეთოდი; შემოშავებულია და მომქმედებს ადგილობრივი მსუბუქი შემსუბუქებით რკინაბეტონის ნაკეთობათა დამზადების ნორმატივები; შენობათა გადახურვისას იყენებენ სხვადასხვა სახეობის ელასტიკურ ჰიდროსაიზოლაციო მასალებს და სხვ.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მშენებლობაში არსებული იმ დიდი რეზერვების ამოქმედების საკითხებს, რომლებსაც ჯერჯერობით ეფექტურად იყენებენ. ასეთი რეზერვებია როგორც უშალოდ სამშენებლო მოედნებზე, ისე მთლიანად სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სისტემებში შრომის ორგანიზაციის, ტექნიკის უფრო სრულად დატვირთვის, სამუშაოთა მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლების, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, ბრიგადული ფორმის მთლიანობის, მოწინავე გამოცდილების, მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფის დარგში.

ყოველივე ეს ბევრნაირ ახდენს რეზერვებზე, ისე მშენებლობის ხარისხზე, რომელიც, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ყველაზე არ შეიესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

აღინიშნა, რომ მშენებლობის ხარისხს ასებითს ზიანს აყენებს ეფექტიანობა, საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების დადაციმის რიტმის დაღვრეტა. ამ მანკიერი მოვლენის ლიკვიდაციისათვის არ წარმოებს სათანადო ბრძოლა. სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ საცხოვრებელ სახლებს საექსპლოატაციოდ გადასცემდნენ თანაბარზომიერად მთელი წლის მანძილზე.

ბევრი ყურადღება დაეთმო მშენებლობის საწარმოო ბაზის განვითარების საკითხებს. ითქვა, რომ საჭიროა ფფრო პროგრესული კონსტრუქციების, საკედლე და სხვა მასალების გამოყენება, სამშენებლო მოედნების უზრუნველყოფა ბეტონის ბეტონის ნარევით, ბეტონის ნაკეთობათა გამამაგრებლების, ლითონის, ხის, ფანერის, ბიტუმის, ლაქების, ბოიების, ტრანსპორტის, ელექტროენერგიის, ელექტროძრავების, ელექტროტექნიკური ნაწარმის, ინოვაციური ტექნიკის, ინოვაციური ტექნოლოგიის, ინოვაციური ტექნოლოგიის, ინოვაციური ტექნოლოგი

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს აქჩარი

საკვლევი და უცხოეთის კრეზის საკვანძო ტოები იუწყებიან

საკვლევი
ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურ ქვეყნებში

საახალწლო საჩუქრები

კოლონეთი

ვარშავა. სოციალისტური პოლონეთის მშრომელნი წარმატებით ამთავრებენ ეკონომიკის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს. აღებულია ქვეყნის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობის მოდერნიზაციის კარგი სტარტი.

სტატისტიკური მონაცემები დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სახალხო პოლონეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. გაჯერია დავალებები გადაჭარბებით არის შესრულებული. მეშახტეებმა ამოიღეს 180 მილიონ ტონამდე ქვანახშირი, თითქმის 3 მილიონი ტონით გადააჭარბეს გეგმას. გამომუშავებულია ელექტროენერგიის რეკორდული რაოდენობა — 105 მილიარდი კილოვატ-საათი. რესპუბლიკის ეკონომიურ რუკაზე გაჩნდა 96 ახალი მსხვილი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის მეტალურგიის გიგანტი — „კატოვიცეს“ კომბინატი, რომელიც აგებულია სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით.

გდრ

ბერლინი. მიმავალმა წელმა ბევრი შთამბეჭდავი წარმატება მოუტანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს. ახალი ხუთწლედის პირველ წელს ქვეყანამ დიდი ნაბიჯი გადადგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე. საკმარისია ითქვას, რომ, წინასწარი გამოთვლით, ქვეყნის სახალხო მეურნეობა მიმდინარე წელს აწარმოებს თითქმის 13 მილიარდი მარკით მეტ სამრეწველო ნაწარმს, ვიდრე გასულ წელს.

დამკვრელური შრომით

კუბა

ჰავანა. დამკვრელური შრომით ეგებებიან კუბელი მშრომელნი რევოლუციის გამარჯვების 18-ე წლისთავს. სულ ახალ-ახალი საწარმოები უპატაკებენ დაკვალებათა წლიური გეგმების შესრულებას ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაში.

წლის დამდეგიდან 500 ათასი ტონა პროდუქცია გამოუშვეს ქალაქ ნუევიტასის „26 ივლისის“ სახელობის ცემენტის ქარხნის მშრომელებმა. ეს ყველაზე მაღალი საწარმოო მაჩვენებელია, რომელიც კი ოდესმე მიუღწევიათ საწარმოთა კოლექტივებს. წლიური გეგმა ქარხანამ ჯერ კიდევ 15 დეკემბერს შეასრულა.

თანამშრომლობა მტკიცდება

ტრიპოლი. (საკდესი). „სსრ კავშირ-ლიბიის არაბთა რესპუბლიკისა“ და „ლიბიის არაბთა რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოებათა წარმომადგენლების აქ გამართული მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს ამ ორი ორგანიზაციის კულტურული თანამშრომლობის პროგრამას.

ქუშ

ჯ. კარტერის ინტერვიუ

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა ჯ. კარტერმა ჟურნალ „ტაიმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირთან შეთანხმებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ახალ შეთანხმებას ამ დარგში, თქვა მან, შეიძლება საფუძვლად დაედოს ვლადივოსტოკის მორიგება, შესაძლებელია, რამდენადმე „უფრო განვითარებული. ამასთან მან ხაზი გაუსვა, რომ სურს დაიდოს ახალი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, სანამ 1977 წლის ოქტომბერში მოქმედების ვადა გაუვიდოდეს დროებითს შეთანხმებას.

ამასთან დაკავშირებით ჯ. კარტერმა იმედი გამოთქვა, რომ შეძლებს მომავალ წელს შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

შობა საპატიმროში „აღნიშნეს“

ლუსაკა. (საკდესი). დაახლოებით 900 აფრიკელმა — სოლსბერის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკმა შობა როდეზიის დედაქალაქიდან 16 კილომეტრზე მდებარე შიკურუბის საპატიმროში „აღნიშნა“. სმიტის უკანონო რასისტული რეჟიმის შევიწროებისა და თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად წინა პარასკევს აფრიკელმა მძღოლებმა და ავტობუსების კონდუქტორებმა, აგრეთვე როდეზიის დედაქალაქის ავტომარკის მომსახურე პერსონალმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელმაც მთლიანად მოშალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა.

„საგანგებო უფლებამოსილებათა კანონის“ შესაბამისად რასისტულმა ხელისუფლებამ ეს გაფიცვა მიიჩნიეს „საზოგადოებრივი უშიშროებისადმი მუქარად“ და მისი ყველა მონაწილე, რომლებიც შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა, საპატიმროში ჩაყარეს.

გფრ — ნეონაცისტები აქტიურდებიან

ბონი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავიანთ საქმიანობას აქტიურებენ ნეონაცისტური ორგანიზაციები და დაჯგუფებები. ამის დამადასტურებელი მთელი რიგი ფაქტები აღნიშნულია დასავლეთ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს „შინაგანი უშიშროების“ საკითხთა ბიულეტენში.

როგორც აღნიშნულია ბიულეტენში, ნოემბერში, ნეონაცისტთა 1923 წლის მიუნხენის პუტჩის „წლისთავის გამო“, დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტებმა „აქციები“ მოაწყვეს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ვისბადენი, შტუტგარტი, ჰელზენ-კირპენი, კრეფელდი, მაინის ფრანკფურტი, დორსტენი და ბენსჰაინი.

მაინის ფრანკფურტში ნეონაცისტური ორგანიზაციის — „დიდი გერმანიის მებრძოლი ჯგუფის“ წევრებმა სვასტიკიანი ალამი აღმართეს სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაზე. ამავე დროს ისინი ავრცელებდნენ სვასტიკიან პლაკატებს, ნაცისტ „ფიუერერთა“ პორტრეტებს და ნეონაცისტური შინაარსის ფურცლებს.

ჰესენის დედაქალაქ ვისბადენში ნეონაცისტებმა გააკრეს ათობით სვასტიკიანი პროვოკაციული პლაკატი მოწოდებით „გაიღვიძე, გერმანიავ!“.

ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ აღეძრათ საქმე ზოგიერთი ნეონაცისტის წინააღმდეგ, მაგრამ დღემდე მხოლოდ ერთ მათგანს დასდეს მსჯავრი „ნაცისტური პროპაგანდისტული მასალების გავრცელებისათვის“.

ამავე დროს ეგრეთწოდებული „გერმანული მოქალაქეობრივი ინიციატივის“ ლიდერს ნეონაცისტ მ. რედერს შესაძლებლობა აქვს პროპაგანდა გაუწიოს თავის შეხედულებებს, როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ. ბიულეტენში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში იკი პროპაგანდისტული მიზნით მოგზაურობდა შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში და მონაწილეობდა ნეონაცისტთა „საერთაშორისო კონგრესში“ ახალ ორლეანში, სადაც მოითხოვდა „აფეთქებას, ქაოსსა და ანგარიშის გასწორებას“ დემოკრატებთან და ანტიფაშისტებთან.

დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ამის გამო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი, რომლებიც აძლიერებენ პროგრესულად განწყობილ მოქალაქეთა დევნას, ხელს აფარებენ ნეონაცისტებს.

მსპანელ კომუნისტთა დაპატიმრების გამო

მადრიდი. (საკდესი). სასამართლო ხელისუფლებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი სანტიაგო კარილო პატიმრობაში იქნება, სანამ არ დამთავრდება გამოძიება და არ გამოიტანენ საბოლოო დადგენილებას. ეს ნიშნავს, რომ საპყრობილედან მას თავდებობით ან გირავნობით არ გათავისუფლებენ. ასეთივე გადაწყვეტილება გამოიტანეს ესპანეთის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც მასთან ერთად დაუპატიმრეს.

ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ადვოკატმა ეფეს საგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეიტანოს აპელაცია სასამართლო ხელისუფალთა გადაწყვეტილების თაობაზე და ყოველნაირად ეცდება კომპარტიის ხელმძღვანელის განთავისუფლებას გამოძიების დამთავრებამდე.

მადრიდის მთელ რიგ რაიონებში კვლავ გაიმართა საპროტესტო მანიფესტაციები, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ ესპანეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა განთავისუფლებას. კარაბანჩელის საპატიმროსთან, სადაც პატიმრები იმყოფებიან, გაიმართა მასობრივი მიტინგი. საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე მალაგაში, ვალენსიაში, ბილბაოში, გიგონსა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

საკვლევი

კულტურის ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფილმი „ომი ანგოლაში“

ჰავანა. კუბის დედაქალაქის უდიდეს კინოთეატრებში უჩვენებენ კუბელ კინემატოგრაფისტთა ახალ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „ომი ანგოლაში“.

ფილმი მოგვითხრობს ანგოლელ პატრიოტთა ბრძოლაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომლის საკულმინაციო მომენტი იყო სამხრეთაფრიკელ აგრესორთა და იმპერიალიზმის დაჭირავებულთა განადგურება. განსაკუთრებული ძალით აღნიშნულია საერთაშორისო სოლიდარობის, იმ დახმარების მნიშვნელობა, რომელიც ანგოლის განთავისუფლების ახალგაზრდა რესპუბლიკას. საღამოს ესწრებოდნენ „სსრ კავშირ-ბანგლადეშის“ მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, ბანგლადეშის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

დიდი ინტერესით

ვაშინგტონი. ვაშინგტონელი მაყურებლები დიდი ინტერესით შეხვდნენ საბჭოთა კინორეჟისორის ა. ტარკოვსკის კინოფილმ „სოლარისს“. მას მაღალი შეფასება მისცა კრიტიკამ. „უალრესად სასიამოვნო იყო „სოლარისის“ ნახვა. ეს ფილმი განსაკუთრებულია: იგი საზრდოს გვაძლევს დასაფიქრებლად, რაც ძალზე იშვიათად გვხვდება ჩვენს ეკრანებზე“, — ნათქვამია ერთ-ერთ რეცენზიაში.

მეგობრობის საღამო დაკაში

დაკა. „ბანგლადეშ-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოებამ ბანგლადეშის დედაქალაქში მოაწყო მეგობრობის საღამო. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, დედაქალაქის უნივერსიტეტის პროფესორმა ჭაბირ ჩოუდერიმ მაღალი შეფასება მისცა დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ახალგაზრდა რესპუბლიკას. საღამოს ესწრებოდნენ „სსრ კავშირ-ბანგლადეშის“ მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, ბანგლადეშის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ერთი „დიდი მოწამისა“ და მისი სულიერი მამების არაკი

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ანტიკომუნიზმის ბნელ კულისებში სენსაციაა: საშობაო დღეებში შვეიცარიის ქალაქ ციურიხს მოეკლინა ლამის „წმინდანი“, თითქმის „დიდი მოწმე“, ცოტა „მწერალი“, ასე განსაჯეთ, ცოტა „ისტორიკოსი“ და ამავე დროს „ბიოლოგიც“. მართალია, ეს სენსაცია იმ ჟურნალსა, რომ ფაქტები ამბიბრუებს მას. პროპაგანდისტული შოუს „გმირს“ ადამიანის ცოდნისა და სულის არცერთი დარგი არ გაუმდიდრებია, არცერთი წიგნი არ დაუწერია, მეცნიერული აღმოჩენა არ გაუკეთებია და ყველაფერი ეს იმ მიზეზის ბრალია, რომ საშუალო სკოლა ძლივძლივობით დაუმთავრებია, უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსიდან კი სწავლასადმი სრული უუნარობის გამო გაურიცხავთ. თავის მეგობართა შორისაც კი „საყველაპურად ნასწავლ“ კაცად იყო ცნობილი: და თავგამოდებული ანტიკომუნისტები მაინც იტაჯნებიან, რომ თავი შარავანდედით შეუმოსონ.

ვისზეა ლაპარაკი?

ეს არის სილსლის სამართლის დამნაშავე ბუკოვსკი, რომელიც ჩვენი ქვეყნიდან გააძევეს.

ამ დღეებში დასავლეთის მრავალი ქვეყნის გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის გარკვეული ნაწილი ერთმანეთს ეჯიბრება და ქება-დიდებას ასხამს ერთი საათის ახალ „გმირს“ და ხელმძღვანელობს უბრალო წესით: ახლანდელი ანტისაბჭოური კერპი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოეგონებინათ. საგულისხმოა ერთი რამ: როგორც კი ბუკოვსკი ციურიხს მოეკლინა, მას აედევნა აჩრდილი, რომელიც, ფრანს პრესის საგაზეთო თქმით, არც დღისით, არც ღამით არ ტოვებდა მას. ეს არის ინგლისელი მსახიობი დევიდ მარკუპი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ჩვეულებრივი საზოგადოება არც კი იცნობდა. ახლა იგი თვით რამპის ჩირაღდნებთან აღმოჩნდა. არ ვიცით, მისტერ დევიდი ყველაზე უფრო კარგად რომელ როლებს ასრულებდა წინათ — იაგოს, რიჩარდ III-ს თუ „007“ აგენტს — ბუკოვსკისადმი მიძღვნილ პროპაგანდისტულ სპექტაკლში მას სურს ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულოს. მარკუპმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ სურს 34 წლის „საბჭოთა დისიდენტი“ იშვილოს.

მელოდრამაა, სხვა არაფერი!

პროფესიონალი ანტისაბჭოელები არასოდეს არაფერს არ თაკილობენ, ისინი ყოველგვარ საბაბს ეპოტინებიან და ებოლაუსებიან ყოველ სრულიად უმეცარ ფიგურას, რათა თვითონ ბინძურ მიზნით გამოიყენონ ისინი. ამჯერად მათ ბუკოვსკი ეგსახურება. ვინ არის იგი? გაუნათლებელი სუბიექტი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი კურსიდან გარიცხეს აკადემიური წარუმატებლობისათვის, ავადმყოფურად პატივმოყვარე კაცი, რომელიც ცდილობს ინანზღაუროს ინტელექტუალური არასრულფასოვნება და ექსტრემიზმის, პროვოკაციული გამოხდომების, აშკარა ხულიგნობის მეშვეობით დაამკვიდროს საკუთარი თავი.

დასავლეთის პროპაგანდის ამ კერპის „საგმირო საქმეებს“ კარგად იცნობენ სსრ კავშირში საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოები. უკვე 1965 წელს მან შექმნა ეგრეთ წოდებული „საიერიშო ხუთეული“ ტერორისტული აქტების ჩასადენად. ეს გამომდინარეობდა მისი თვალსაზრისიდან, რომ აგიტაციის მეთოდი „საკმარისად ეფექტიანი არ არის“ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი, თავისი პოლიტიკური კერპის — დიერსანტ ბორის სავინკოვის მიბაძვით, ამბობდა, რომ საჭიროა „ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ კომუნისტების წინააღმდეგ, საჭიროა შევასწავლოთ მათ სროლა, ჩამოვაყალიბოთ მათგან ხუთეულები და გავაერთიანოთ ისინი საიერიშო რაზმებში. თავის თანამზრახვა — გარეწართა მცირერიცხოვანი ჯგუფის — თავყრილობებზე ბუკოვსკიმ თავის მიზნად აშკარად გამოაცხადა შეიარაღებული ბრძოლა სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ.

არც საკუთარი იდეები, არც საშუალებები ამ დამნაშავეს, რომელიც არა მარტო მსჯელობდა, არამედ მოქმედებდა კიდეც, რა თქმა უნდა, არ ჰქონია. ყოველივე ეს ისესხა იმთგან, ვინც დღეს მას „დიდ მოწმედ“ ასაღებს, — ფაშისტი ნაბოლარებისაგან, ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — სახალხო-შრომითი კავშირისაგან, დასავლეთის სხვა ძირგამომთხრელი ცენტრებისაგან, რომლებთანაც ბუკოვსკიმ კავშირი დაამყარა. მათგან მიიღო მან ვალუტა. ხმის ჩასაწერი ტექნიკა და ფოტოაპარატურა. სახალხო-შრომითი კავშირის დავალებით ბუკოვსკი შეუდგა არალეგალური სტამბის მოწყობას. სავსებით პროფესიონალ ჯაშუშების დონეზე გულმოდგინედ ეწეოდა თავისი საქმიანობის კონსპირაციას. სარგებლობდა პაროლებით, შიფრებით. ანტისაბჭოური მასალებისა და საშუალებების შესანახად მან მოაწყო სამალავები. „მასთან მუდამ ამყარებდა კავშირს სახალხო-შრომითი კავშირის ემისრებთან. ინსტრუქციები უცვლელი რჩებოდა: გადაეცა დასავლეთში ცილისმწამებლური მასალები საბჭოთა სინამდვილის შესახებ, განეგრძო ძირგამომთხრელი ჯგუფების შეკოწწეების ცდები, მოეწყო პროვოკაციები საზოგადოებრივ ადგილებში, გაევრცელებინა ანტისაბჭოური ფურცლები.

დასავლეთის ცენტრების მფარველობამ და ყურადღებამ, ბურჟუაზიულ პრესაში ატეხილმა აურზაურმა, რომელსაც ინსინუაციებით გულმოდგინედ ასაზრდოებდა ბუკოვსკის დედა, თავბრუ დაახვია ამ ავადმყოფურ, თავის თავზე დიდი წარმოდგენის კაცს. მან თანდათან იწამა, ყველა ანტისაბჭოელის „ბელადი“ ვარო და თავის სულიერ მამას სახაროვსაც კი ისე იხსენიებდა, როგორც „სუსტ“ ადამიანს.

და აი კაცს, რომელიც სამჯერ წარდგა სასამართლოს წინაშე როგორც სისლსის სამართლის დამნაშავე, როგორც საზღვარგარეთის ანტიკომუნისტური ცენტრების დაქირავებული აგენტი, როგორც ბანდიტური ჩეკეებისა და სასაციო ამბიციების ადამიანი, „სიმართლისათვის ტანჯულად“ ასაღებენ. გაზეთები, რადიოსადგურები, რომლებსაც რესპექტაბელურად მოაქვთ თავი, „ადამიანებს აბრაკებენ და ცდილობენ გაათეთრონ ყორანი.

რა აზრი აქვს ამას? რა ხდება? ბუკოვსკი იმდენად გაბერილი პიროვნებაა, რომ თავისთავად ყურადღებას არ მიიპყრობდა. მაგრამ ზედგამოჭრილი იყო იმპერიალისტური წრეებისათვის, რომლებიც ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოურ პროპაგანდას ლაგვიებენ და ცდილობენ გაართულონ დაძაბულობის შენელების პროცესი, ხელი შეუშალონ სრულიად ევროპის ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა რეალიზაციას. ამის, თუ რა ბინძურადმდე შეიძლება მიხვიდე ამ დროს, ცხადყოფს შემარჯვენე ფრანგული გაზეთი „ორორი“, რომელმაც დაუეჭვებლად განაცხადა, ბუკოვსკი „მშვიდობისათვის მებრძოლია“, მისი გაძევება კი... ომისათვის მზადების აქციას ნიშნავსო.

ნუ გაგვიკვირდება ეს მტკნარი სისულელე. თუ კი შეიძლება სისლსის სამართლის დამნაშავე „თავისუფლების ქომაგის“ დაფნის გვირგვინით შეამკო, როგორ არ მიაწერონ საბჭოთა კავშირს „აგრესიული მისწრაფებები!“

რას იზამ, ისეთია ბურჟუაზიული პრესის ჩვეულება. მაგრამ რომელი მოაზროვნე ადამიანი გაატოლებს ერთმანეთთან დამნაშავესა და მშვიდობისათვის მებრძოლს? ვინ აღიქვამს სერიოზულად ანტისაბჭოელთა მოთხოვნას, რომ სსრ კავშირში სისლსის სამართლის დამნაშავეებისადმი „კანონს ყენებდნენ ასე ვთქვათ შერჩევით, თანაც საზღვარგარეთიდან მითითებით?

სხვათა შორის, ადამიანის უფლებებისათვის მოჩვენებითი მებრძოლები, უფრო ზუსტად კი სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფის მოყვარულნი მეტად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბუკოვსკის დაცვისას. ჩვენ გახსენეთ ინგლისელი მსახიობი, რომელიც აპირებს ასაკგადასული „დისიდენტი“ იშვილოს. მაგრამ ბუკოვსკის სხვა მეურვეები და მფარველებიც გამოუჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანია ვენერალი პინოჩეტი, ამ დღეებში მან საჯაროდ განაცხადა „პროტესტი“ „სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის“ გამო და სიტყვასიტყვიერ გაიმეორა ის, რასაც ბროფესიონალი ანტიკომუნისტები დასავლეთის ყველა პროპაგანდისტულ გზა-ჯვარედინზე გაჰყვირიან ბუკოვსკის გაძევების გამო. რა გვეთქმის, „შეხმატკბილებული კამპანიაა“.

ბუკოვსკისა და მის მსგავსებს რომ „იცავს“, პინოჩეტი სალდაფონური სიტუაციით ავლენს, თუ რაოდენ ფარისევლურია მისი ზრუნვა „ადამიანის უფლებათა“ დაცვისათვის. გაძევებულ „დისიდენტთან“ სოლიდარობის გამოცხადებიდან ზუსტად სამი დღის შემდეგ ხუნტის მესვეურმა თქვა, რომ ჩილე არასოდეს არ დაუბრუნდება „საპარლამენტო დემოკრატიის მოძველებულ სისტემას“, რადგან „მან წარმატებით დაიწყო ტოტალიტარულ დემოკრატიაზე დამყარებული ელესპერიმენტი“. რა აქვს მხედველობაში პინოჩეტს? ეს იციან ჩილელმა ხალხმა და მთელმა მსოფლიო საზოგადოებრიობამ, ჰოდა ჩილეს ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად მიიწვიეს ბუკოვსკი ჩილეში და აღუთქვეს, რომ სანტიაგოში მას „გულითადი მასპინძლობა“ მოელის.

საბჭოთა ადამიანები თავიანთი და ყველა ხალხის მშვიდობაზე ფიქრებით აღსავსენი შრომობენ და ცხოვრობენ. ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას, დაძაბულობის შენელებას, ხალხთა ურთიერთგაგებას, რომ ისახავს მიზნად. ისინი არ ერევიან სხვის საქმეებში. და არაა ვისაც არ მისცემენ თავიანთ საქმეებში ჩარეკვის, იმის სწავლების უფლებას, თუ რა არის სიმართლე და რა არი! სიცრუე. მორიგი გამბაურებული ანტისაბჭოური კამპანიის ორგანიზატორებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსომონ ეს.

ჯ. პავლოვი.

„იზვესტია“, 26/XII-76 წ.

ბასკების ქვეყანაში

ესპანეთის ყურის ხანაპიროზე მდებარეობს ბასკების ქვეყანა. ესპანეთის ეს პროვინცია ცნობილია, როგორც მძიმე და სამთომომპოვებელი მრეწველობის მნიშვნელოვანი რაიონი. ბასკონიის მოსახლეობა, რომელიც ორ მილიონამდე კაცს შეადგენს, მისდევს აგრეთვე მეთევზეობას, მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას.



სურათებზე: (ზემოთ) პროვინციის მთავარი ქალაქი და ნავსადგური ბილბაო; (ქვემოთ) ბერმეოელი მებადურები ზღვაში გასვლის წინ.

ჩტკ-საკდესის ფოტო.

მსოფლიოს გარშემო

„ჟიგულის“ პოპულარობა იზრდება

● ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იზრდება საბჭოთა მსუბუქი ავტომობილის „ჟიგულის“ პოპულარობა. დასავლეთმა გერმანიამ ამ ავტომანქანების შესყიდვა დაიწყო 1974 წელს. იგი მაშინვე მოეწონათ დასავლეთგერმანელ ავტომობილისტებს, წერს გაზეთი „დოიჩე ფოლქსციტუნგი“, 1976 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიყიდა 14 ათასი ამ ტიპის ავტომანქანა — 40 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. „ჟიგულიზე“ ეხოდენ დიდი მოთხოვნილება, აღნიშნავს გაზეთი, აიხსნება იმით, რომ იგი შეესაბამება მყიდველთა დიდ მოთხოვნებს, იზიდავს მათ ძრავის ეკონომიურობით, გამძლეობითა და მანევრულობით.

პრემიერ-მინისტრი დათანხმდა

● ჰაბაბ. ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი ი. მ. დენ ალი დათანხმდა ფართოდ გამოიძიონ 1945-1976 წლებში „მენტენის საქმეში“ იუსტიციის ორგანოების მოქმედება. ამ მიზნით შეიქმნება სპეციალური კომისია.

სს-ელ ჯალათს მენტენს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მხეცურად უსწორდებოდა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მოსახლეობას, ომის დამთავრების შემდეგ მხლოდ რამდენიმე თვის პატიმრობა აკმარეს. მიმდინარე წლის ნოემბერში სამხედრო დამნაშავე მოულოდნელად გაჭრა. როგორც ჩანს, მისი ამბის „მცოდნე ოფიციალურმა პირებმა იგი სწორედ იმ მომენტში გააფრთხილეს, როცა გაიცა მისი დაპატიმრების ორდერი.

დაიკარგა უგზოუკვლოდ

● ტოკიო. იაპონიის კიუსიუს კუნძულზე სამხრეთით დაახლოებით ას კილომეტრზე ძლიერი შტორმის დროს უგზოუკვლოდ დაკარგა პანამის გემი „დემედერი“, რომელზეც ეკიპაჟის 22 წევრი იყო. გემდან მიიღეს სიგნალები, რომ იგი უბედურებაშია, შემდეგ „დემედერთან“ კავშირი შეწყდა. პანამის გემის ადგილსამყოფელ რაიონში მისულმა იაპონიის მაშველმა ხომალდებმა ოკეანის ზედაპირზე აღმოაჩინეს ნავთობის დიდი ლაქა და ცარიელი ბაშველი რეზინის ნავი. ძებნა გრძელდება.

ეუქარამ არ გაჭრა

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის კონფერენცია

□

რიკის ნავთობის კონცერნების დიდ შვიდეულთან. ერთი შეხედვით გაუგებარი იყო, რატომ ეწესაადმდეგებოდნენ ეს მონოპოლიები ფასების მომატებას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნავთობის კორპორაციების საარაკო მოგების ძირითადი წყაროა ნავთობ-პროდუქტების ფასები. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ იმას, რომ შემცირდეს ნედლი ნავთობის ფასსა და ბენზინისა და სხვა ნავთობპროდუქტების საცალო ფასებს შორის განსხვავება.

ამერიკის პრესაში გაჩაღდა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოებისადმი მუქარისა და ზემოქმედების კამპანია. ამერიკის შეერთებული შტატები მათ ემუქრებოდა „საკასუხო ღონისძიებებით“. ამ შანტაჟმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის თერთმეტმა წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა 1977 წლის 1 იანვრიდან ნედლი ნავთობი გააძვიროს 10 პროცენტით, ხოლო მომავალი წლის 1 ივლისიდან — კიდევ 5 პროცენტით.

მაგრამ საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამირეები, გაუმიჯნენ ამ გადაწყვეტილებას და განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ 5 პროცენტით გაადვირებენ ნავთობს. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის არსებობის დროიდან პირველად წარმოშეა განხეთქილება ამ ორგანიზაციის რიგებში. დასავლეთის მონოპოლიები ახლა აშკარად ვარაუდობენ, რომ საუდის არაბეთი გაადიდებს ნავთობის მოპოვებას და გააბათილებს კონფერენციის გადაწყვეტილებას ფასების 10 პროცენტით გადიდების შესახებ. ერ-რიადის პოზიცია მწვავედ გააკრიტიკეს არაბეთის სხვა ქვეყნებმა. როგორც ერაყის ნავთობის მინისტრმა ტ. ა. კირიმმა აღნიშნა, საუდის არაბეთის მანევრები მიზნად ისახავენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის ერთიანობის შერყევას, რასაც ყოველნაირად ესწრაფვიან ამერიკის შეერთებული შტატები და ეროვნებათაშორისი ნავთობის კორპორაციები.

ამავე დროს იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წინააღმდეგ აამხედრონ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ნავთობის რესურსები და აგრეთვე აწუხებთ ნავთობის ბაზარი. ამ ხრიკების მოგვრეიებისათვის დოპის კონფერენციამ გადაწყვიტა 800 მილიონნაცვლად 1.600 მილიონ დოლარამდე გაუდიდოს დახმარების ფონდი იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც ნავთობი შემოაქვთ.

ბოლო ცნობები

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის კონფერენციაზე

ბაღდადი. (ტასსი). ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს ორ ფრაქციად გაიყვნენ ფასების ზრდის საკითხზე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს ორ ფრაქციად გაიყვნენ ფასების ზრდის საკითხზე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების ორგანიზაციის ბაღდადში მიმდინარე კონფერენციაზე. ამ ფრაქციებს ხელმძღვანელობენ ერ-რიადი და ბაღდადი. ერ-რიადი ფასების 10 პროცენტით ზრდის მომხრეა, ბაღდადი — 5 პროცენტით ზრდის. ეს ორ ფრაქციად გაყოფა ეჭვქვეშ აყენებს ორგანიზაციის ერთიანობას. ამ ორ ფრაქციად გაყოფა ეჭვქვეშ აყენებს ორგანიზაციის ერთიანობას. ეს ორ ფრაქციად გაყოფა ეჭვქვეშ აყენებს ორგანიზაციის ერთიანობას.



70 წელი შეუსრულდა სახელგანთქმულ კომპოზიტორს და საზოგადო მოღვაწეს ანდრია ბალანჩივაძეს.
„კომუნისტის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა ჩვენი კულტურის მოღვაწეებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მის შემოქმედებაზე.

ოთარ თაქთაქიშვილი,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ანდრია ბალანჩივაძე იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. მან პირველმა სრულყოფილად, კლასიკური სისადავით ჩამოაყალიბა ქართული სიმფონიური აზროვნება. I სიმფონია ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის მწვერვალი და ჩვენთვის ერთ-ერთი ენციკლოპედიური ნაწარმოებია. კომპოზიტორები და მათ შორის მეც დიდად ვართ დავალებული ამ სიმფონიისაგან და პატივს ვცემთ მის ავტორს.

პირადად მე უშუალოდ არ ვუფლებივარ ბალანჩივაძის მოსწავლე, მაგრამ მისგან ბევრი საქმიანი რჩევა და გამხნევება მიმიღია.

ყოველთვის პატივს ვცემ მას ვაბედული მსჯელობისათვის და გულწრფელობისათვის. მახსენდება ის რთული სიტუაცია, რომელიც ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში 40-იანი წლების ბოლოს შეიქმნა. ა. ბალანჩივაძე ყოველთვის რჩებოდა შოსტაკოვიჩისა და პროკოფიევის თაყვანისმცემლად. იგი არ იზიარებდა არცერთ კრიტიკულ მოსაზრებას, ამ კომპოზიტორების წესახებ, რის გამოც ჩვენ, იმ დროისათვის ახალგაზრდა თაობამ შევინარჩუნეთ რწმენა იმ დიდი მემკვიდრეობის მიმართ, რომელიც დაგვიტოვეს საბჭოთა მუსიკის კლასიკოსებმა.

გავიდა დრო. ყოველ შემოქმედს, ბუნებრივია, ახალი ჰორიზონტები ესახება ხელოვნებაში, მაგრამ მარად თან გაგვყავს მეგობრობის, პატივისცემის გრძნობა პრინციპული ადამიანისა და დიდი შემოქმედის ანდრია ბალანჩივაძის მიმართ.

ალექსი მაჭავარიანი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართულ პროფესიულ მუსიკაში დიდი ცვლილებები მოხდა. აღზარდნენ და პროფესიულად დავაკაცდნენ კომპოზიტორთა თაობები. ეს მნიშვნელოვანი მუსიკალური ჟანრების დაბადების და განვითარების, ახალი გამომსახველი საშუალებების ძიების პერიოდი იყო.

ანდრია ბალანჩივაძეს წილად ხვდა მისია — უშუალო მონაწილე ყოფილიყო ქართული მუსიკის განვითარების ამ უდიდესი პროცესისა. მრავალფეროვანია მისი მოღვაწეობის მასშტაბები: კომპოზიტორი, პედაგოგი, აღმზრდელი, დირიჟორი, საკუთარი ნაწარმოებების ინტერპრეტატორი, საზოგადო მოღვაწე. იგი მთელი ცხოვრება ემსახურება ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებას.

ანდრია ბალანჩივაძესთან 30-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს. კარგად მახსოვს მისი პირველი სცენური ნაწარმოების, ბალეტ „მთების გულის“ პრწყინვალე დადგმა. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, ეროვნული ზეიმი. მახსოვს აგრეთვე პირველი სიმფონიის პრემიერაც, რომელიც ასევე უდიდესი მოვლენა იყო ქართული მუსიკის განვითარებაში. დიდად ქმაყოფილი ვარ, რომ წილად მხვდა მის პედაგოგიურ კლასში ასისტენტობა. ბევრჯერ აღიფრთოვანებივარ ანდრია ბალანჩივაძის საოცრად შემოქმედებითსა და ხალისიან გაკვეთილებს, მუსიკაზე, საზოგადოდ ხელოვნებაზე საუბრებს.

მრავლის თქმა შეიძლება ანდრია ბალანჩივაძეზე, როგორც პიროვნებაზე, საზოგადო მოღვაწეზე, საოცარი პოეტური ბუნებით დაჯილდოებულ მარად ახალგაზრდა ადამიანზე, რომელიც როგორც შემოქმედებაში, ისე თავის პიროვნებაში ზნეობის, ადამიანის ღირსების დიად საწყისებს განასახიერებს.

სულხან ცინცაძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ჩემთვის ანდრია ბალანჩივაძე მარტო მალალკეტორიტეტული მუსიკოსი, გამოჩენილი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი კი არ არის, არამედ საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, ისეთივე ლაღი და უშუალო, როგორიც მისი მუსიკაა.

ძნელია ასე ადვილად განსაზღვრო ანდრია ბალანჩივაძის თითქმის 50-წლიანი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა. იგი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი აქტიური მშენებელია, გამოჩენილი კომპოზიტორია, ფუძემდებელი ნაწარმოებების შემქმნელია, ეს ნაწარმოებებია ბალეტი „მთების გული“, დიდებული პირველი სიმფონია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ ჟანრში მომუშავე ქართველ კომპოზიტორთა მომდევნო თაობის შემოქმედებითი ჩამოყალიბებაზე; ჩანებული მესამე საფორტეპიანო კონცერტი. აი მუსიკა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. მათ დავუმატებდი ბრწყინვალე მეორე სიმფონიას, ნატიფ საორკესტრო მინიატიურას — „რიწის ტბას“.

მრავალი წლის მანძილზე ბალანჩივაძე მეთაურობდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითს ორგანიზაციას, მაგრამ არის ერთი სფერო, სადაც მისი ღვაწლი ისეთივე მნიშვნელოვანი და ძვირფასია, როგორც მისი შემოქმედება. მე მხედველობაში მაქვს ა. ბალანჩივაძის პედაგოგიური მუშაობა, რომელმაც მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა საკავშირო მასშტაბით.

მახსოვს ჩემი პირველი გაუბედავი შემოქმედებითი ცდაც, რომელიც მას მივუტანე. სამწუხაროდ, ჩემი ოცნება მასთან სწავლისა არ ახდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, მე, ისევე როგორც ჩემი თაობის თითქმის ყველა ქართველმა კომპოზიტორმა, განვიცადეთ ა. ბალანჩივაძის შემოქმედებითი და პედაგოგიური პრინციპების გავლენა.

რევაზ ლაღიძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ანდრია ბალანჩივაძემ უდიდესი როლი შეასრულა ჩემი საკომპოზიტორო დახელოვნების გზაზე. ჩვენი ხალხის კულტურის საუკეთესო ტრადიციები, ქართული სიმღერა მე ბავშვობიდანვე ათვისებული მქონდა, მაგრამ როდესაც მოვიდა დრო და მუსიკის წერას შევუდექი, აღმოჩნდა, რომ მარტო მონდომება და ქართული სიმღერის სიყვარული არ არის საკმარისი კომპოზიტორისათვის, ახალბედა მუსიკოსს ესაჭიროება შემოქმედებითი გზის მანიშნებელი, გამოცდილი, ბრძენი მრჩეველი, ასეთი აღმოჩნდა ჩემთვის ჩემი საყვარელი პედაგოგი ანდრია ბალანჩივაძე. მისი ყოველი გაკვეთილი, ყოველ შენიშვნა, შეიძლება ითქვას, ოქროს ფასისა იყო.

ბალანჩივაძე ღრმა განათლებისა და კულტურის პიროვნებაა, ბრწყინვალე კომპოზიტორი და პედაგოგია და, ამავე დროს, ჩინებული შემსრულებელია, როგორც პიანისტი და დირიჟორი. გაკვეთილებზე მუშაობის დროს ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ ბალანჩივაძეს მაგალითისათვის დაუსახელებია რომელიმე კლასიკოსი თუ რომანტიკოსი კომპოზიტორის ნაწარმოები და იქვე ზეპირად დაუკრავს რომელიც გნებავთ მათგანი.

მისი მითითებები ჩემთვის არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას და ყოველ ახალ ნაწარმოებზე მუშაობის დროს მე მათ ქვეცნობიერად, ნინაგანად ვითვალისწინებ. „ლელას“ პრემიერის შემდეგ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სწორედ ჩემი პედაგოგის მოლოცვა იყო.

ყველაფერთან ერთად ანდრია ბალანჩივაძე საოცრად გულთბილი და გულღია, ტაქტიანი ადამიანია და, სხვათაშორის, საუცხოო თანამესუფრეც არის.

დიდი სიყვარულით ვულოცავ მას მესამოცდაათე წლისთავს.

ალექსი ჩიჩბა,

აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ანდრია ბალანჩივაძე მუდამ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთის მუსიკალური კულტურის მიმართ. აფხაზური ხალხური მუსიკის თავისებურებებით დაინტერესებული კომპოზიტორი ნაყოფიერ საფოლკლორო მოღვაწეობას ეწეოდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ა. ბალანჩივაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა უხუცეს აფხაზ მომღერლებთან, რომელთაგანაც ჩაიწერა ხალხური სიმღერის მრავალი ორიგინალური ნიმუში. თავისი შემოქმედებით კომპოზიტორი მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხაზ მწერლებთან. კერძოდ, მიხეილ ლაკერბაიას ლიბრეტოზეა შექმნილი ლირიკულ-კომიკური ოპერა „ოქროს ქორწილი“. მოეიგონით ალრეთვე მისი სანაქებო საორკესტრო პიესა „რიწის ტბა“. ა. ბალანჩივაძის თაოსნობით დაარსდა აფხაზეთში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის განყოფილება. განსაკუთრებით დიდია კომპოზიტორის ღვაწლი ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდაში. აფხაზეთმი მომუშავე მის მოწაფეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მ. ბერიკაშვილი, კ. ჩენგელია, ამქამად კი ა. ბალანჩივაძის კლასში საკომპოზიციო ხელოვნებას ეუფლება სტუდენტი ვ. ჭკადუა.

ᲕᲘᲓᲔᲝᲑᲐ

თ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ — ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ

თბილისში, სპორტის სასახლის ხალიჩაზე სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1976 წლის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წლევანდელ პირველობაში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის 52 მოჭიდავე იბრძოდა. შეჯიბრება ახალი სისტემით მოეწყო. საქართველოს ჩემპიონის წოდება ორ წონითს კატეგორიაში გაიმართა. პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ 75-90 კილოგრამი წონითი კატეგორიის ათლეტები. აქ გამარჯვებულის სახელი დაისაკუთრა გორელმა სპორტის ოსტატმა ტარიელ მუთოშვილმა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ოსტატი ზურაბ ბახტაძე, მესამეზე — საგარეჯოელი ჯემალ ნინოშვილი.

მეორე ჯგუფში გამოდიოდნენ 90 კილოგრამზე მძიმე მოჭიდავეები. კარგად იასპარეზა თელაველმა სპორტის ოსტატმა თენგიზ წითელაურმა, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზეა გორელი თემურ ხუბულური, მესამეზე — თბილისელი იგორ ძეგლიგაშვილი.

აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ჯგუფებში პირველ ექვს ადგილზე გამოსულ მოჭიდავეები. ტურნირი წრიული სისტემით გაიმართა. საქართველოს 1976 წლის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული — „ფალავანთა ფალავნის“ სახელი მოიპოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გურამ პაპიტაშვილის აღსაზრდელმა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრმა ძიუ-დოში, ევროპის ჩემპიონმა, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თემურ ხუბულურმა. მეორე ადგილზეა თენგიზ წითელაური, მესამეზე — საქართველოს შრომაწადელი ჩემპიონი, თბილისელი ოთარ ყურაშვილი.

შ. ბახტაძე.

სურათზე: საქართველოს ფალავნები — (მარცხნიდან) თენგიზ წითელაური, თემურ ხუბულური და ტარიელ მუთოშვილი.

ი. ეუნაპვის ფოტო.

მასპინძელთა უპირატესობით

თბილისის ფალავანთა კლუბში დამთავრდა ტრადიციული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს (ორი ნაკრები), აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარისა და ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის. გამარჯვება მასპინძელთა პირველმა ნაკრებმა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე არიან ომსკელი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეები.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

გულშემატკივრები ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲝᲒᲔᲑᲘ...

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მურთნელმა ჰელმუტ შიონმა კატეგორიულად მოითხოვა აიკრძალოს სტადიონებზე სპირტიანი სასმელების გაყიდვა, რათა ამით აღიკვეთოს ტრიბუნებზე მაყურებელთა ხულიგანობა. ბუნდესლიგის კლუბების „კიზერსლაუტერნისა“ და „ფორტუნის“ (დიუსელდორფი) მატჩის შემდეგ მან, მაგალითად, გაზეთ „ბილდციაიტუნგის“ კორესპონდენტს შესჩივლა: „მე გული გამიტყდა ფეხბურთის გულშემატკივრებზე“.

მატჩის არბიტრმა რუდოლფ ფრინკელმა თამაში 76-ე წუთზე შეწყვიტა მას შემდეგ, რაც მთვრალმა გულშემატკივრებმა ატეხეს ღრიანცელი და მსაჯს ბოთლების სროლა დაუწყეს.

აღსანიშნავია, რომ ლიგის არსებობის 13 წლის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მატჩი გულშემატკივართა მიზეზით დროზე ადრე შეწყდა.

— მაყურებლები ფეხბურთის საყურებლად მოდიან ჯიბეებში ჩაწყობილი სასმელებით, — აღშფოთებულია მწვრთნელი. — მე მომაჩნია, რომ ევროპორტებში შემოღებული კონტროლის მსგავსი ღონისძიება, შეიძლება დამამცირებელი იყოს სტადიონებისათვის, მაგრამ, ერთი კი ცხადია — ხულიგნობას ბოლო უნდა მოეღოს! (საკდესი).

კ ვ ლ ა ვ ა. გუმელსკი

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების უფროს მწვრთნელად კვლავ დაინიშნა ალექსანდრე გუმელსკი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს — ცსკა-ს ავარჯიშებს. ა. გუმელსკი (მან უფროსი მწვრთნელის პოსტზე ვლადიმერ კონდრაშინი შეცვალა) 1962-70 წლებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა ნაკრებს. ამ პერიოდში გუნდმა მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა, ორჯერ კი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზორი გახდა.

გუნდის მეორე მწვრთნელად დანიშნულია იური ოზეროვი, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა.

— ჩვენი ამოცანაა მოვამზადოთ ისეთი გუნდი, რომელიც შეძლებს მოსკოვის ოლიმპიადაზე გამარჯვებას, — თქვა ა. გომელსკიმ. — ამისათვის ჯერ საჭიროა აღვადგინოთ ჩვენი კალათბურთის მაღალი რეპუტაცია ევროპაში, უპირველეს ყოვლისა კი კარგად გამოვიდეთ კონტინენტის 1977 პირველობაზე ბელგიაში.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲯᲝᲙᲔᲘ. ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე ახალგაზრდული გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიშით 10:1 მოუგო პოლონეთის გუნდს და 4:2 ბულგარეთის ნაკრებს. ჩვენი ჰოკეისტები 6 ქულით ლიდერობენ ტურნირს. მეორე ადგილზე არიან კანადელები, მესამეზე — ფინელები.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებში კიევის „სტროიტელმა“ ერთი ქულის სხვაობით — 103:102 დაამარცხა მინსკის რტი (ეს კიეველთა მეშვიდე გამარჯვებაა), ხოლო ნიკოლაევის „სპარტაკმა“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 84:77.

ᲥᲐᲚᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატს პირველი წრის შემდეგ ლიდერობს რიგის ტტტ (12 ქულა). მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის ოლქის „სპარტაკს“ ათ-ათი ქულა აქვთ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ზედიზედ მეოთხე გამარჯვება, ამჯერად იამაიკელ შ. ვონგთან, მოიპოვა გრონინგენში მიმდინარე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე ჭიდუკთა შორის ტურნირის ლიდერმა, ალმაათელმა ე. ელადიმიროვმა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

70 წელი შეუსრულდა სახელგანთქმულ კომპოზიტორს და საზოგადო მოღვაწეს ანდრია ბალანჩივაძეს.
„კომუნისტის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა ჩვენი კულტურის მოღვაწეებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მის შემოქმედებაზე.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

საასურსათო და სამრეწველო მაღაზიებში

სამიოდე დღეც და ახალი წელი შემოაბიჯებს. თბილისელები საახალწლო თადარიგში არიან.

როგორც უკვე მკითხველებმა იციან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საახალწლო ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

— საახალწლო ვაჭრობა რომ მაღალ დონეზე წარიმართოს და თბილისელი მშრომელების მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე მთლიანად დავაკმაყოფილოთ, შევეცადეთ საამისოდ ყველა პირობა შეგვექმნა,—განაცხადა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ზ. გილაურმა.

ალბათ დამეჯერებიან თბილისელები, რომ საერთოდ და მით უფრო სადღესასწაულო ვაჭრობისას ხშირად მაღაზიებში სიძნელე იქმნება, რადგან სავაჭრო დარბაზები გადატვირთულია სხვადასხვა საქონლით, შუშისა და სხვა მესაფუთი ტარით. ასეთ ვითარებაში ჭირს როგორც მომსახურება, ისე საქონლის შეძენა. ამ სიძნელეების თავიდან ასაცილებლად 1976 კვირას, 26 დეკემბერს, სასურსათო მაღაზიებს უფლება მიეცათ დღის მეორე ნახევრიდან ვაჭრობა შეეწყვიტათ და დარჩენილი დრო გამოეყენებინათ საქონლის შემოსატანად, გასაწყობად, ტარის გასატანად, მაღაზიების წესრიგში მოსაყვანად, რათა 27 დეკემბრიდან დაეწყოთ სადღესასწაულო ვაჭრობა.

ყოველდღიურად თბილისის მოსახლეობას მიეყიდება 110 ტონა ახალი ხორცი, 608 ტონა ძეხვეული, ასი ტონა ფრინველის ხორცი, ასი ტონა ყველი, ოთხმოცი ტონა საკონდიტრო ნაწარმი, ორასი ტონა ხორბლისა და ასი ტონა სიმინდის ფქვილი, სამოცი ტონა ხილი. მაღაზიები მომარაგდება დიდძალი ღვინით, შამპანურით, კონიაკით. მოთხოვნილების კვალობაზე მივაწოდებთ მოსახლეობას მინერალურ წყლებს, ლიმონათს, ბოსტნეულს, რძეს და რძის პროდუქტებს. საახალწლო ვაჭრობისათვის გათვალისწინებული პროდუქტები შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით გაიზრდება მეტია.

სამრეწველო მაღაზიებში კვლავ იყიდება საახალწლო ნაძვისხეები და მისი მოსართავები, სხვადასხვაგვარი საჩუქრები.

ვაჭრობის მუშაკებს, ისე როგორც არასდროს, დიდი სურვილი გვაქვს თბილისელ მშრომელებს, რომლებიც მაღალი მაჩვენებლებით ამთავრებენ 1976 წელს, მაღაზიებიდან და საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან კმაყოფილნი წავიდნენ.

რ. მუხიგულაშვილი.

საკოლმეურნეო ბაზრებში

საახალწლოდ მოირთო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრები.

ამ დღეებში თბილისისაკენ მომავალ გზებზე მოდიან პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანები. პროდუქტები მოაქვთ რესპუბლიკის 50-ზე მეტ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას. განსაკუთრებით კარგად ამარაგებენ ბაზრებს ბოსტნეულით და ფრინველით გარდაბანი, მარნეული, შიხეთის, ბოლნისის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხისა და სხვა რაიონების სპეციალიზებული მეურნეობანი. ქალაქის ათ ბაზარს შორის ყველაზე დიდია პირველი მაისის რაიონის ცენტრალური ბაზარი. აქ ყოველდღიურად მოდის 90 ათასამდე მოქალაქე. ბაზრის ბრუნვა დღესასწაულისწინა დღეებში გადიდდა 5 ათასი კილოგრამი კარტოფილით, 10 ათასი კილოგრამი ბოსტნეულით, 8 ათასი კილოგრამი ხილით, 5 ათასი კილოგრამი ხორცითა და ფრინველით.

დღესასწაულისწინა ვაჭრობა გაჩაღებულია აგრეთვე კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში. ბაზრის დირექციას დახმარებას უწევს სახოგადოებრივი საბჭო, რომელიც მიკრორაიონში მცხოვრები მყიდველებისაგან შედგება.

საახალწლო ვაჭრობისათვის ჩინებულად მოეზადნენ ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზარი, 26 კომისრის სახელობის რაიონისა და ლენინის სახელობის რაიონის ბაზრები. აქ, სტაციონარულის გარდა, გახსნილია დროებითი პავილიონები და ფარდულები, სადაც ყოველდღიურად ჩამოაქვთ პროდუქტები წითელწყაროს, გორის, თელავის, ცხაკაიასა და სხვა რაიონებიდან.

— ახლა ჩვენი მუშაკები სხვადასხვა რაიონში არიან, — ამბობს თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს საკოლმეურნეო ბაზრების განყოფილების გამგე ნ. ჩოფიკაშვილი, რათა თბილისში შემოვიდეს რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მყიდველთა მოთხოვნები.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

კიევისა და ალმა-ათის შემდეგ 27 დეკემბერს თბილისში გაიხსნა გამოფენა „ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოგრაფია“, რომელიც ეოგზაურობს საბჭოთა ქვეყანაში. იგი მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საგარეო-სამრეწველო პალატების ხელშეწყობით.

გამოფენის მომწყობთ მიესალმნენ რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ს. ელიგულაშვილი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტ. რიგვავა. მათ აღნიშნეს, რომ გამოფენები ხალხთა ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების, ურთიერთგაგების გაუმჯობესების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა. ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ერთგული საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ ყოველ ნაბიჯს, რომლებიც მიზნად ისახავენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

გამოფენა გახსნა ამერიკის შეერთებული შტატების დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ჯეკ ფ. მეტლოკმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში მოწყობილი ექსპოზიცია გვაცნობს ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოხელოვნების მიღწევებსა და ფოტოგრაფიული ტექნიკის ნიმუშებს. გამოფენა 30 იანვრამდე გასტანს. (საქინფორმი).

ᲤᲝᲢᲝᲐᲠᲐᲢᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

უკრაინის სსრ. კიევში აშენდა საბჭოთა კავშირში უდიდესი კიდული ხიდი. ამ გოლიათური ნაგებობის მთავარი გადასარბენი 300 მეტრის სიგრძისაა, ხიდის სავალი ნაწილის სიგანე 30 მეტრია.

უნიკალური საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრდა.

სურათზე: ახალი ხიდი სიმტკიცის გამოცდას გადის.

ა. პოდდუბნის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ სსრ. ტალინის მ. ი. კალინინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ელექტროტექნიკური ქარხანა ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა რესპუბლიკაში. ყოველ წელს ქარხნის პროდუქცია 30-40 პროცენტით მატულობს. აქ მზადდება სხვადასხვა სახის ელექტროსაწყობი, რომლებსაც დიდი გამოყენება აქვთ მეტალურგიულ მრეწველობასა და ელექტროფიცირებულ რკინიგზებზე.

სურათზე: ნახევარგამტართა ხელსაწყოებს აწყობს ა. კარტული.

ვ. რუდკის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. აქ კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მაგისტრალური გაზსადენიდან და ლენინგორში გამოყვანილი გაზსადენის მშენებლობის დამთავრებას მიეძღვნა.

მიტინგი გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ხ. ბეღოევმა, გამოვიდნენ პარტიის რაკომის პირველი მდივანი ნ. ოდიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ბარძიმოვი, წარჩინებული მეევნახე ა. გვრიტიშვილი, ლენინგორის საშუალო სკოლის დირექტორი ო. ჩიბირაშვილი და სხვები.

გაზსადენის გასაყვანად და გაზის მიღებისათვის მოსამზადებლად დიდი და რთული მუშაობა გაწიეს გორის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ და საქართველოს სსრ მთავარგაზის სამმართველოს ამოქმედება-გამართვის სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივებმა. განსაკუთრებით გამოჩინეს თავი შემდეგებელმა უ. ბასილაშვილმა, მექანიკოვატორე ვ. ძამაშვილმა, ზეინკალმა დ. ლაფერაშვილმა, სამუშაოთა მწარმოებელმა მ. ნოზაძემ. (საქინფორმი).

„ᲓᲘᲔᲚᲝᲡ“ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

საოცარია! — ამბობს მინისტრი

ნაირობი, 27 დეკემბერი. (საკდესის კორ.). ერთ თვეზე მეტ ხანს იყენენ კენიაში გასტროლებზე საბჭოთა ესტრადის ოსტატები. თითქმის ოცი კონცერტი გამართეს ამ ხნის მანძილზე საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელოს“ მსახიობებმა. ათიათასობით კენიელი გაეცნო მათს შესანიშნავ ხელოვნებას.

მაყურებელთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში სცენიდან გაისმოდა ქართული ხალხური მელოდიები, მსოფლიოში ცნობილი რუსული „კატიუშა“, უკრაინული სახუმარო სიმღერები. თვითეულ კონცერტზე განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა ანსამბლის მსახიობების მიერ კენიის ეროვნული სიმღერების შესრულება კენიელთა მშობლიურ სუაჰილის ენაზე.

„საოცარია! სიტყვები არ მყოფნის, რომ ჩემი აღტაცება გამოვთქვა!“, — განაცხადა ერთ-ერთი კონცერტის დამთავრების შემდეგ კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუნიუა ვაია�d. „ესტრადის ჯადოსნები“ უწოდეს საბჭოთა მსახიობებს აქაურმა ჟურნალისტებმა.

კენიის პრეზიდენტის ჯომო კენიატის თხოვნით, რომელიც იმ დროს ნაიკურუში იყო, საბჭოთა ესტრადის ოსტატებმა იქ სპეციალური კონცერტი გამართეს. პრეზიდენტის გარდა, კონცერტს დაესწრო კენიის ბევრი სხვა თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

გ. სკოგელევი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ“ 10 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲐᲛ დღეებში თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გაიმართა ინსტიტუტის მოსავლეობრივი გაზეთ „საბჭოთა პედაგოგის“ დაარსების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. დონხაძემ. გაზეთის მიერ განვლილ გზაზე, მის ამოცანებზე ელაპარაკა რედაქტორმა ლ. ჭეიშვილმა.

მისასალმებელი სტატეტები წარმოთქვეს ინსტიტუტის რექტორმა ნ. ვასაძემ, ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ა. ღლონტმა, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორმა ნ. შველიძემ, პროორექტორმა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ო. ბალიაშვილმა, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. იოსელიანმა და სხვებმა.

იუბილარი გაზეთი დაჯილდოდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კპ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის საპატიო სიგელებით.

ვ. დანელია.

ᲒᲐᲖᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. აქ კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მაგისტრალური გაზსადენიდან და ლენინგორში გამოყვანილი გაზსადენის მშენებლობის დამთავრებას მიეძღვნა.